უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№3 (34) 2014

თსუ განათლების საერთაშორისო გამოფენაზე

14-15 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო უკვე ტრადიციად ქცეულ განათლების საერთაშორისო გამოფენაში.

უნივერსიტეტს გადაეცა სერთიფიკატი ფორუმზე საგამოფენო სტენდის საუკეთესო დიზაინისთვის.

ფორუმზე მოსულ ყველა დამთვალიერებელს ჰქონდა შესაძლებლობა უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლისგან მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი ფაკულტეტების და სასწავლო პროგრამების შესახებ, გაცნობოდა უნივერსიტეტის სიახლეებს და საცნობარო ინფორმაციას.

უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-4 საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში „ექსპო-ჯორჯიას“ საგამოფენო სივრცეში 110 ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი. გამოფენაში მონაწილეობენ საგანმანათლებლო ორგანიზაციები: უნივერსიტეტები, კოლეჯები და უმაღლესი სკოლები საქართველოდან და უცხოეთიდან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ბულგარეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, სომხეთი, თურქეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ჰოლანდია, ლატვია, რუსეთი, ლიტვა).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიას პირველი მფლობელი ჰყავს

ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია 2014 წელს, ცნობილ ქართველოლოგს და ენათმეცნიერს, იენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორს, ჰაინც ფენრიხს მიენიჭა.

გვ. 3

თსუ სტუდენტების პროტესტი

თავისუფალ სტუდენტთა კავშირი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებას აპროტესტებენ.

გვ. 3

„UNIკადრი 2014“

სტუდენტური ფოტოკონკურსი “UNIკადრი” ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეორედ იმართება. ამ კონკურსის საშუალებით ზოგიერთმა სტუდენტმა საკუთარი ნიჭის გამოვლენა შეძლო, ზოგმა თსუ ახალი, საინტერესო თვალით დაინახა და სხვასაც დაანახა.



გვ. 3

სტუდენტური პროექტი „თაობა L“

გაზაფხულის სემესტრიდან (5 მარტი) უნივერსიტეტში განხორციელდება ერთ-ერთი შერჩეული პროექტი სახელწოდებით „თაობა L“, (ავტ: თორნიკე აბაშიძე, გუნდი „ინკუნაბულა“).

პროექტის განხორციელებაში ჩაერთვება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი გამომცემლობა „პალიტრა L“.

გვ. 3

ISET სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) აცხადებს საბუთების მიღებას ეკონომიკის ორწლიან სამაგისტრო პროგრამაზე.

გვ. 3

უნივერსიტეტი 96 წლისაა

თებერვალი კავკასიასა და საქართველოში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაბადების თვეა. 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ჩაეყარა საფუძველი პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი კი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მასშტაბით უდიდესი საგანმანათლებლო კერაა საქართველოში. თსუ–ის 6 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. დღეს თსუ-ში 201 აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს; ხორციელდება 200-მდე აღგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის კვლევითი პროექტი;

2013 წლის 8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსებიდან 96 წლის იუბილე აღნიშნა.

გაგრძელება მე-3 გვ.

მე – უნივერსიტეტი

12 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში საიუბილეო ფოტოპროექტის „მე - უნივერსიტეტი“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ბიზნესის და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

„პროექტი ცნობილი სახეების მეშვეობით ასახავს უნივერსიტეტის გუშინდელ დღეს, აწმყოს და მის მომავალს. აქ გაერთიანდნენ ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ უნივერსიტეტის ტრადიციას, რომლებიც ამჟამად ასწავლიან უნივერსიტეტში და ადამიანები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში“ – აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა.

„არაჩვეულებრივი გამოფენაა, უამრავი ნაცნობი სახე ვნახე, მათ შორის ჩემთვის საყვარელი პროფესორ-მასწავლებლები, ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყველა უნივერსიტეტელს ამ დღეს“, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

პროექტი მოიცავს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული უნივერსიტეტელების პორტრეტებს, ალბომს, რომელიც ფოტოებთან ერთად მოგონებებსაც აერთიანებს და ვიდეორგოლს, რომელშიც პროექტის მონაწილეები უნივერსიტეტის მიმართ თავიანთ ემოციებზე საუბრობენ.

პროექტისთვის წარმატებული უნივერსიტეტელის შერჩევაში მონაწილეობა უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელს შეეძლო. თითოეულ მსურველს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებულ ონლაინ გამოკითხვაში სამი წარმატებული უნივერსიტეტელი უნდა დაესახელებინა. მიზანი იყო შერჩეულიყო ბევრი განსხვავებული სფეროსა და ასაკის ადამიანი, რომელთაც ერთი რამ აერთიანებთ – ყველა მათგანმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა ან თსუ-ში სწავლობს. ცხადია, პროექტმა ვერ შეძლო მოეცვა ყველა უნივერსიტეტელი, ბევრი ღირსეული სახე მის მიღმა დარჩა, თუმცა ეს პირველი მცდელობაა და არა საბოლოო.

ფოტოპროექტი „მე – უნივერსიტეტი“ გასულ წელს დაიწყო და სამ ეტაპად განხორციელდა. 95 პორტრეტის ავტორი ფოტოგრაფი მინდია მიდელაშვილია, რომელიც პროექტზე მუშაობის პერიოდს შემდეგნაირად აფასებს: „პროექტზე მუშაობა იყო ძალიან საინტერესო მისი მრავალფეროვნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, პორტრეტებს უნდა გადმოეცათ ემოცია, ხასიათი, ვფიქრობ წარმატებით გავართვით თავი ჩანაფიქრს და ვამაყობ, რომ ამ პროექტის გუნდის წევრი ვარ“.



გაგრძელება მე-2 გვ.

უნივერსიტეტი 96 წლისაა

პირველი გვერდიდან

საიუბილეო ღონისძიებებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ პირველი კორპუსის ფოიეში ცნობილი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული თსუ-ს დამფუძნებლების – ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ბიუსტები საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ გახსნეს, დაათვალიერეს უნივერსიტეტის ფოიეში მოწყობილი გამოფენა – „უნივერსიტეტის პირველი სტუდენტები“.

უნივერსიტეტის დაარსების 96-ე წლისთავს მიეძღვნა თსუ ბიბლიოთეკის საგანძურში დაცული იშვიათი გამოცემების გამოფენაც. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ძველი ქართული, ევროპული, რუსული, სომხური და სპარსული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები.

საიუბილეო ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტს, თსუ კურსდამთავრებულს გიორგი მარგველაშვილს უნივერსიტეტის მედალი გადაეცა.

თსუ რექტორის განცხადებით, ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა, რადგან საქართველოსთვის, მისი ისტორიისთვის, დღევანდელი დღისთვის და მომავლისთვის დავით აღმაშენებელი იყო განსაკუთრებული მეფე, რომელმაც საქართველო გააერთიანა და დიდების გზაზე დააყენა. „სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა სწორედ ეს დღე – 8 თებერვალი აირჩიეს უნივერსიტეტის დაარსებისთვის, რაც სიმბოლურია. სწორედ უნივერსიტეტი უნდა განასახიერებდეს საქართველოს მომავალს, მის წინსვლას. რადგან აქ ხდება ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა, რომელმაც ხვალ უნდა ჩაიბაროს ქვეყნის სადავეები. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხარისხობრივად გაუმჯობესდეს სწავლის დონე, გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. ამ მიმართულებით ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. საუნივერსიტეტო საქმიანობა, მთლიანად ქართული საზოგადოება და ჩვენი სტუდენტობა არის ერთიან საქმეში ჩართული და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იქნება წარმატება. ყველა უნივერსიტეტელს, და ასეთი საქართველოში ძალზე ბევრია, ვულოცავ უნივერსიტეტის დაბადების დღეს“, – აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებაში უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და თსუ პროფესორებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ამ უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო დაწესებულების 96 წლისთავი მიულოცა.

„მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს უნივერსიტეტს ერისა და ქვეყნის განვითარებისა და მომავლისთვის. ყველამ ვიცით, რომ ეს არის მეცნიერების, ახალგაზრდების კერა. მაგრამ, ამას გარდა, ეს არის როგორც მენტალური, ისე მორალური ჩამოყალიბების ადგილი. ეს უნივერსიტეტი ასრულებდა და კვლავაც ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი ქვეყნის იდენტობის დადგენის პროცესში. ამ კედლებთან მე ბევრი ისეთი რამ მაკავშირებს, რაც მეცნიერებასთან და სხვა ღირებულებებთან ზიარებას შეეხება. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა – უნივერსიტეტი დღეს საქართველოსთვის უფრო მეტია ვიდრე მეცნიერება, დღეს საქართვლოსთვის უფრო მეტია ვიდრე ცოდნის კერა. ეს უნივერსიტეტი არის ჩვენი იდენტობის ძიების ერთ-ერთი მთავარი წერტილი და მეც, როგორც ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, როდესაც ვფიქრობ იმაზე, რანაირად განვითარდება ეს ქვეყანა, მუდამ უკან დავუბრუნდები და შევხედავ უნივერსიტეტს და აქედან ავიღებ ძალას, რომ გემსახუროთ“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

თბილისის სახელმწუფო უნივერსიტეტის ემერიტუსის, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის თქმით, უნივერსიტეტის დაარსების დღე წლების განმავლობაში გამორჩეულად აღნიშნებოდა და დღესაც აღნიშნება. “პრეზიდენტის მოსვლა უნივერსიტეტში მიანიშნებს, რომ ჩვენმა სახელმწიფომ დღეს უნივერსიტეტისკენ მოიხედა. თავის დროზე, თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა როგორც სამეცნიერო და სასწავლო კერა. აქ შეიქმნა საერთაშორისო მნიშვნელობის სკოლები, გაიზარდნენ დიდი მეცნიერები, რომლებმაც ჩვენს უნივერსიტეტს სახელი მსოფლიო მასშტაბით გაუთქვეს. თუმცა, შემდეგ, უნივერსიტეტი ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდა. უნივერსიტეტმა მძიმე შედეგების მომტანი რეფორმების შედეგად, ფაქტიურად, დაკარგა სამეცნიერო ნაწილი. დღეს ხელისუფლება უნივერსიტეტისკენ შემობრუნდა. მდგომარეობის გამოსწორების პირველი ნაბიჯები ჩვენ უკვე ვიგრძენით. უკანასკნელი წლების მისაღები გამოცდები აშკარას ხდის, რომ ძველი ტრადიციის გავლენით, ყველაზე მეტი აბიტურიენტი მოდის უნივერსიტეტზე. ამავე დროს, ყველაზე მაღალი შედეგის მქონე აბიტურიენტებიც უნივერსიტეტში ირიცხებიან“, – აღნიშნა მარიკა ლორთქიფანიძემ.

თსუ პროფესორის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის განცხადებით, ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა უნივერსიტეტის გახსნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს საგანგებოდ დაამთხვიეს. “დამფუძნებლებმა ამით ხაზი გაუსვეს, რომ ახლად დაარსებული უნივერსიტეტი არის მემკვიდრე დავით აღმაშენებლის გელათის აკადემიისა – ამ უძველესი აკადემიისა ევროპაში, რომელიც დაარსდა მე-12 საუკუნეში და რომელიც იყო სხვა ათინა და მეორე იერუსალიმი. ათინა, როგორც მაშინდელი განათლების და მეცნიერების ცენტრი და იერუსალიმი, როგორც უმაღლესი სულიერების ცენტრი. ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების წყალობით, თბილისის უნივერსიტეტი ჩვენ გელათის აკადემიის მემკვიდრედ მოგვევლინა“.

„უნივერსიტეტში ფეხი დაახლოებით 80 წლის წინ შემოვდგი როდესაც მამაჩემთან ხელჩაკიდებული, თავზე ბანტით, უნივერსიტეტში შემომიყვანეს. მას შემდეგ, 80 წელია ჩემი ცხოვრება უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. ახალდაარსებული უნივერსიტეტის მესვეურები ჩემს გარშემო ტრიალებდნენ, მსჯელობდნენ უნივერსიტეტზე, მის საქმიანობაზე. მათ და მოწინავე ქართულ საზოგადოებას კარგად ესმოდა, რომ შემდგომი წინსვლა ერისა შეუძლებელია უმაღლესი განათლების გარეშე. ქართული უნივერსიტეტის არც დაარსება იყო ადვილი და არც მისი შემდგომი გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ვინც ერს მტრობდა, მას კარგად ესმოდა, რომ პირველ რიგში იმ ადგილს დაარტყა უნდა, სადაც ხალხის სულიერი კულტურა იწრთობა, იქ სადაც ყალიბდება ახალი თაობა, რომელმაც მომავალი უნდა იტვირთოს“, – აღნიშნა საზეიმო ღონისძიებაზე თსუ ემერიტუსმა, აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იუბილე მიულოცეს საქართველოს მთავრობის წევრებმა, თსუ პროფესორებმა დავით ნარმანიამ და ნოდარ ხადურმა.

უნივერსიტეტს 96 წლის იუბილე საგანგებო განცხადებით მიულოცა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. “ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში შეიქმნა ისეთი საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც შესაძლებელი გახდა ეროვნული და ევროპული ღირებულებების შერწყმა, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსახურება. სწორედ ამიტომ იქცა უნივერსიტეტი განათლების, ქართული მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად. ვულოცავ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ყველა მის კურსდამთავრებულს უნივერსიტეტის დაარსების დღეს. მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეინარჩუნებს და ყოველთვის შეასრულებს მთავარი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას“, – ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

თსუ რექტორმა და საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებმა 8 თებერვალს ყვავილებით შეამკეს თსუ პანთეონში უნივერსიტეტის დამფუძნებლების საფლავები და მთაწმინდის პანთეონში პატივი მიაგეს ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას.

თსუ სტუდენტის წარმატება აშშ-ის უნივერსიტეტში

„მსურს გამცნოთ იმ წარმატებების შესახებ, რომელიც თქვენს ერთ-ერთ სტუდენტს ანა ყალიჩავას სწავლის თვალსაზრისით აქვს, რითიც ძალზე კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, იგი ისევე კარგადაა მომზადებული, როგორც თქვენი უნივერსიტეტის წარმოამდგენელი ორი არაჩვეულებრივი სტუდენტი, ალექსანდრე ესაძე და ლევან ზანდარაშვილი ... ლაბორატორიული საქმიანობის გარდა მე ანას მოლეკულური ბიოფიზიკის კურსის გადახედვაც მოვთხოვე, რომელიც პირველი კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულოა. ამ საგანში ანას პრეზენტაციის შედარება საუკეთესო სტუდენტებისასთან შეიძლებოდა. მან მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ აქვს ინტელექტუალური საფუძველი გახდეს მოლეკულური ბიოფიზიკის ჩვენი პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებული. დარწმუნებული ვარ, თუ კი იგი ამ პროგრამაზე ჩაბარებას გადაწყვეტს, მას უპრობლემოდ მიიღებან როგორც ჩვენს, ისე სხვა უმაღლესი რენტინგის უნივერსიტეტებში. ჩვენს პროგრამაში ალექსანდრე ესაძისა და ლევან ზანდარაშვილის აღსანიშნავ მიღწევებზე დაფუძნებით შემიძლია ვთქვა, რომ ანა ერთ-ერთი მაღალრეიტინგული სტუდენტი იქნება, თუკი ამგვარად მუშაობას განაგრძობს“.

თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას სახელზე ასეთი წერილი სტუდენტ ანა ყალიჩავას ამერიკელმა ხელმძღვანელმა პროფესორმა ჯეიმს ლიმ გამოაგზავნა. ქართველი სტუდენტების მიღწევებით კამყოფილი ტეხასის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი აღნიშნავს, რომ თსუ-მ მათ საფუძვლიანი ცოდნა მისცა.

თსუ ბაკალავრიატის ბოლო კურსის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის სტუდენტი ანა ყალიჩავა აშშ-ში, ტეხასის სამედიცინო უნივერსიტეტში მკვლევარ-ასისტანტის სტატუსით 2013 წლის სექტემბრიდან იმყოფება. ერთწლიანი პროექტის ფარგლებში იგი პრომოტორული ცილის თერმოდინამიკური ფუნქციებით შესწავლის საკითხზე მუშაობს. ანამ უკვე გაიარა მოლეკულური ბიოფიზიკის და მოდელირების კურსი, რომელიც მას ექსპერიმენტის ჩატარებასა და შემდგომ მის ანალიზში ეხმარება.

ბიოფიზიკის მიმართულება მესამე კურსზე ყოფნისას აირჩია. თსუ პროფესორ თამაზ მძინარიშვილთან კონსულტაციების შემდეგ, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნებში თავის უცხოელ კოლეგებს დააკავშირა, საბოლოოდ სასწავლებლად პროფესორ ჯეიმს ლის მოლეკულური ბიოფიზიკის ლაბორატორია შეირჩა. უცხოელმა პროფესორმა ანას ჯერ რამდენიმე საკითხის დასამუშავებლად სტატიები მისცა, რის შემდეგაც სტუდენტმა გასაუბრება მასთან „სკიპით“ გაიარა.

„მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას და ევროპას შორის დიდი კონტრასტია ახალ გარემოში ადაპტირება არ გამჭირვებია. თსუ-ში მიღებულმა ცოდნამ მყარი საფუძველი მომცა აშშ-ში სწავლისთვის თავის გასართმევად. საზღვარგარეთ, მით უმეტეს, ამერიკაში სწავლისას ოჯახისგან შორს ყოფნა, მანძილი, სტიმულს გაძლევს უფრო მეტის გასაკეთებლად. ყოველდღიურად გრძნობ, როგორ იზრდები და ყალიბდები დამოუკიდებელ პიროვნებად“, – ამბობს ანა, რომელთან დაკავშირებაც ჩვენ ელექტრონული ფოსტის საშუალებით შევძელით.

მართალია, უკვე იცის, რომ სწავლას დოქტურანტურაში გააგრძელებს, მაგრამ საედ კონკრეტულად, ჯერ არ იცის. ამ ეტაპისთვის ამერიკაში ყოფნამ და სწავლამ მას საშუალება მისცა გაეგო თუ ზუსტად რა უნდოდა. ცოტა ხნის წინ თსუ-ში სტუმრად ჩამოსულმა მასაჩუსეტის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა სესილია შიფერმა დოქტურანტურის პოზიციისთვის ანას საბუ-თების თავის ლაბორატორიაში გაგზავნა შესთავაზა. მართალია, ანას სამომავლოდ ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვს გადასაწყვეტი, მაგრამ უკვე იცის, რომ აშშ-ში ყოფნისას საკუთარი შესაძლებლობები უფრო კარგად გაიგო. იცის დამოუკიდებლად ცხოვრების და პრობლემის დაძლევის რა რესურები აქვს, რაც 4 წელი უკვე დოქტორნატურაში სწავლის გამბედაობას აძლევს.

სიახლეები

* * *

1 თებერვალს, თსუ–ში „ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო დღესადმი“ მიძღვნილ კვირეულის ფარგლებში საბავშვო უნივერსიტეტისა და თსუ-ეკო კლუბის ორგანიზებით გაიმართა მოსწავლეთა კონფერენცია.

მოხსენებთან ერთად მოსწავლეებმა წარმოადგენეს მათ მიერ შესრულებული ხელოვნური ჭარბტენიანი ტერიტორიები სხვადასხვა საინტერესო გაფორმებით. განსაკუთრებით გამორჩეული იყო ბაკურიანის საჯარო სკოლის 5 კლასის მოსწავლის სანდრო ჩინჩალაძის მიერ ქაღალდით გაკეთებული ჭაობი, იქ ბინადარი ბაყაყით.

* * *

2 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში "საბავშვო უნივერსიტეტის" პროექტ "თსუ დესპანის" საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. პროექტის მონაწილეები საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სკოლებში წარსადგენ საპრეზენტაციო მასალას გაეცნენ და რეკომენდაციები მიიღეს.

* * *

3 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ტემპუსის პროექტის – „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის – DOIT“ – კონფერენცია.

კონფერენცია მიეძღვნა უმაღლეს სასწავლებლებში მულტიკულტურული განათლებისათვის პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიას პირველი მფლობელი ჰყავს

ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია 2014 წელს, ცნობილ ქართველოლოგს და ენათმეცნიერს, იენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორს, ჰაინც ფენრიხს მიენიჭა. გადაწყვეტილება 13 თებერვალს საუნივერსიტეტო საპრემიო კომისიის წევრებმა მიიღეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი 2013 წლის 26 დეკემბერს გამოცხადდა. პრემიის მოსაპოვებლად 2 კანდიდატი იყო წარდგენილი.

საერთაშორისო სამეცნიერო პრემიით დაჯილდოების საზეიმო ცერემონია მიმდინარე წლის აპრილში გაიმართება. მეცნიერს გადაეცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის დიპლომი და თანხა 20 000 ლარის ოდენობით.

გერმანელი ენათმეცნიერი, პროფესორი ჰაინც ფენრიხი ცნობილი ქართველოლოგი და კავკასიოლოგია. მან 1971 წელს თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. პროფესორი ფენრიხი არის ჟურნალ „გეორგიკას“ დამაარსებელი და რედაქტორი.

ჰაინც ფეინრიხი მრავალი წლის განმავლობაში იენის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა კავკასიოლოგიის, კერძოდ, ქართველოლოგიის მიმართულებას. იგი დღემდე მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა გერმანიაში ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდისათვის. მისი წიგნები მოიცავს ქართული კულტურის თითქმის ყველა სფეროს. პროფესორმა ფეინრიხმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ქართული მითოლოგიის, საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული მონოგრაფია.

განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მუშაობა ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის საქმეში. მისი კვლევის სფერო მოიცავს ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომები: “ქართული ენა“, ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი (პროფ. ზურაბ სარჯველაძის თანაავტორობით), ენათმეცნიერულ ტერმინთა ქართულ-გერმანული ლექსიკონი (პროფ. ზურაბ სარჯველაძესთან ერთად), ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი (პროფ. ზურაბ სარჯველაძის თანაავტორობით). ასევე მრავალი ქართული ლიტერატურული ძეგლის გერმანული თარგმანი და კომენტირებული გამოცემა და მრავალი სხვა.

პრემია ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის 2 წელიწადში ერთხელ გაიცემა.

„UNIკადრი 2014“

პირველი გვერდიდან



თინათინ ბუჩუკურის ფოტო

მარიამ ჯაყელის ფოტო

მაგდა ბატიაშვილის ფოტო

„აქამდე მეგონა, რომ მაღლივის ბიბლიოთეკა მხოლოდ შემოსასვლელი კიბეები (გამოცდების წინ უსაშველოდ დიდი რიგი რომ გაიწელება ხოლმე) და საგამოცდო დარბაზები იყო. მაგრამ ცოტა ხნის წინა აღმოვაჩინე „შიდა“ ეგო და შუაში ეს სვეტი, კიბეებით”. – ასე აღწერა თავისი ნამუშევარი მაგდამ საკონკურსო ანკეტაში, რომელიც ფოტონამუშევარს ერთვოდა თან.

კონკურსში მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო. შემოსული 200-მდე ნამუშევრიდან საუკეთესოები ჟიურის წევრებმა: ფოტოგრაფებმა ანა გოგუაძემ, მინდია მიდელაშვილმა და გურამ წიბახაშვილმა შეარჩიეს. გამარჯვებული სულ სამ ნომინაციაში გამოვლინდა. მაგდა ბატიაშვილის გარდა გამარჯვებულები გახდნენ ასევე: ნომინაციაში “უნივერსიტეტელის საუკეთესო პორტრეტი” – მარიამ ჯაყელი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), ნომინაციაში – “სასწავლო პროცესის და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი კადრი” – თინათინ ბუჩუკური (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

12 თებერვალს თსუ-ში ფოტოკონკურსის „UNIკადრი 2014“ დაჯილდოების საღამოზე ჟიურის მიერ შერჩეული 25 საუკეთესო ფოტო გამოიფინა. საბოლოოდ სამ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები კი საპრიზო ფონდიდან 200 ლარით დაჯილდოვდნენ.

იმ ხალხს შორის, ვინც მაგდა ბატიაშვილს ფოტოკონკურში გამარჯვებას ულოცავდა, ლიტერატურული კონკურსის “შემოდგომის ლეგენდის” მეშვეობით შეძენილი მეგობრებიც იყვნენ. მაგდა “შემოდგომის ლეგენდა 2011”-ის ერთ-ერთი გამარჯვებულია. მას, საერთოდ, ლიტერატურა აინტერესებს, თუმცა, ამავე დროს მოყვარული ფოტოგრაფია. ახლა გადაწყვიტა ამ საკითხს უფრო პროფესიონალური კუთხით მისდგომოდა და თავის ფოტოებზე სხვისი აზრიც გაეგო. მაღლივი კორპუსი მისთვის არქიტექტურის გამოა საინტერესო. ფოტოზე აღბეჭდილი ადგილი “ლექციების მერე ბოდიალის შედეგად აღმოაჩინა. რადგან სურათებს ძველი, გადასკოჩილი “ზენიტით” იღებს, პრემიას “ახალი ფოტოაპარატის საყიდლად დახარჯავს”.

მიუხედავად იმისა, რომ სურათებს ბავშვობიდან იღებს, მარიამ ჯაყელისთვის “UNIკადრი” პირველი კონკურსი აღმოჩნდა. გამოცდების პერიოდი ჰქონდა, უცბად გადაწყვიტა და ლამის ბოლო მომენტში სურათი თავის მეგობარ თეონა ჯელიას გადაუღო. თეონას სახე “ლამაზი და საინტერესო, თურმე, არა მხოლოდ მისთვისაა”.

თინათინ ბუჩუკურმა ამ კონკურსში მონაწილეობა თავის მეგობართან ერთად გადაწყვიტა. მართალია, გამარჯვებულთა შორის მხოლოდ იგი აღმოჩნდა. მაგრამ ამას მეგობრებს შორის პრობლემა არ გაუჩენია. პირიქით, როგორც თინათინი ამბობს, “მის მეგობარს ეს გამარჯვება მგონი მასზე მეტადაც კი გაუხარდა”.

ახლა, ამ კონკურსის შემდეგ, ფოტოხელოვნების ოსტატობის თვალსაზრისით ცოდნის გაღრმავების სურვილიც გაუჩნდა.

სტუდენტური პროექტი „თაობა L“

სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში – „მისია“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ეძლევათ შანსი გახდნენ პარტნიორი კომპანიის ვირტუალური მენეჯერები და შექმნან საკომუნიკაციო სტრატეგია სხვადასხვა კომპანიებისთვის. „მისია 2012“-ის ფარგლებში სტუდენტებმა პირველ ტურში სხვადასხვა პროექტის იდეები შემოგვთავაზეს, რომელთა შორის საუკეთესოები შეირჩა. თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმიანისტრაციის გადაწყვეტილებით სტუდენტები აღნიშნულ პროექტებს წლის განმავლობაში უნივერსიტეტის სახელით ეტაპობრივად განახორციელებენ.

გაზაფხულის სემესტრიდან (5 მარტი) უნივერსიტეტში განხორციელდება ერთ-ერთი შერჩეული პროექტი სახელწოდებით „თაობა L“, (ავტ: თორნიკე აბაშიძე, გუნდი „ინკუნაბულა“).

პროექტის განხორციელებაში ჩაერთვება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი გამომცემლობა „პალიტრა L“.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და საინტერესო ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება. კონკურსანტები აპრილის დასასრულამდე გამომცემლობა „პალიტრა L”-ის ასეულიდან (წიგნები, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ) შერჩეულ 10 წიგნს წაიკითხავენ და ყოველ ტურში შესაბამის ტესტს დაწერენ. ყველაზე მაღალი ქულების მქონე 10 ფინალისტი, პროექტის დასასრულს, 23 აპრილს ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელიც კონკურსის მთავარ პრიზს მიიღებს, ამასთან ორგანიზატორების გადაწყვეტილებით გამარჯვებული თავად აირჩევს პრიზს – 1000 ლარს ან წიგნის თაროს 100 წიგნით, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.

პროექტს კონსულტაციას გაუწევს პროფესორი ლევან ბერძენიშვილი.

თსუ სტუდენტების პროტესტი

თავისუფალ სტუდენტთა კავშირი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებას აპროტესტებენ. უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ 62 115 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი თბილისის მერიამ 2013 წლის 16 ოქტომბერს ჩატარებული აუქციონის მეშვეობით გაასხვისა. მერიაში აცხადებენ, რომ აუქციონის პირობებით არაა გათვალისწინებული რაიმე სახის შეზღუდვა და გამარჯვებულ კომპანიას ამ ტერიტორიაზე შეუძლია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა.

თსუ სტუდენტების განცხადებით, თსუ-ს ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთზე ინვესტორი კომპანია უნივერსიტეტისა და მისი პროფილისათვის შეუფერებელ საქმიანობას აპირებს.

„ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია თბილისის მერიის პოზიცია. მერია აცხადებს, რომ აუქციონის პირობით არაა გათვალისწინებული რაიმე შეზღუდვა გამარჯვებული კომპანიისათვის და მას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე, დედაქალაქისა და მისი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ათასამდე სტუდენტმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, დარგო 500 ნერგი. თბილისის მერიის ამ გადაწყვეტილებით, დღეს დადგა ამ ნარგავების განადგურების საკითხი. კატეგორიულად მოვითხოვთ, თბილისის მერიისგან, საკრებულოსგან და ინვესტორი კომპანიისაგან, გათვალისწინებული იქნას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სტუდენტების ინტერესები და არავითარ შემთხვევაში არ განხორციელდეს, უნივერსიტეტისა და დედაქალაქისთვის მიუღებელი საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად, მივმართოთ პროტესტის ყველაზე მწვავე ფორმებს,“- განაცხადა თავისუფალ სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მეტრეველმა.

სტუდენტების გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საზოგადოების საყურადღებოდ მიმართა თბილისის მერიასა და ქალაქის საკრებულოს არ განხორციელდეს უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი საქმიანობა (მაგალითად სასაფლაოს მოწყობა) ან ა.შ.

„თხოვნით მივმართავთ ქ. თბილისის საკრებულოს და ქ. თბილისის მთავრობას, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებით გაუთვალისწინებელი ფაქტების დადგომა“. – ნათქვამი იყო რექტორის მიმართვაში.

ISET სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) აცხადებს საბუთების მიღებას ეკონომიკის ორწლიან სამაგისტრო პროგრამაზე. ISET-ის სამაგისტრო პროგრამა აშშ-ს და დასავლეთ ევროპის პროგრამების შესაბამისია. სწავლა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტში ასწავლიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული პროფესორები.

სამაგისტრო პროგრამაზე დარეგისტრირება ხდება ონლაინ რეჟიმში www.iset.ge; რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2014 წლის 1 მაისი. მისაღები გამოცდები ინგლისურ ენასა და მათემატიკაში ჩატარდება მაისის დასაწყისში. (ამასთან, აუცილებელია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება).

სამაგისტრო პროგრამაზე პირველ სემესტრში სწავლა უფასოა ყველა ჩარიცხული სტუდენტისთვის. საუკეთესო სტუდენტებს საშუალება ექნებათ მოიპოვონ სტიპენდია, რომელიც სტუდენტს დაუფარავს სწავლის სრულ გადასახადს და დაუნიშნავს ყოველთვიურ სტიპენდიას. ყველა წარმატებულ სტუდენტს დაეფარება სწავლის გადასახადის ნაწილი და დაენიშნება სტიპენდია. სტუდენტებს აგრეთვე საშუალება ეძლევათ მიიღონ ISET-ის სტუდენტებისათვის სპეციალურად შექმნილი შეღავათიანი სესხები.

დამატებით, სტუდენტებს ISET-ი სთავაზობს შემდეგ შესაძლებლობებს:

გაიარონ პრაქტიკა სამთავრობო, არასამთავრობო სექტორში და კერძო კომპანიებში, როგორიც არის მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) ლონდონის ოფისი;

მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონცენტრაციებში, როგორიცაა ენერგო და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალიზაციები;

გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში აშშ-ს და დასავლეთ ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, სრული დაფინანსებით.

ISET-ის შესახებ: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა შეიქმნა 2006 წელს მსოფლიო ბანკის, BP -ის, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფონდის „ღია საზოგადოება“ (OSI), შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით. ISET-ის 169 კურსდამთავრებულიდან 97% დასაქმებულია ან სწავლას აგრძელებს საზღვარგარეთ. ISET-ის კურსდამთავრებულებს უკავიათ წამყვანი თანამდებობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეროვნულ ბანკებსა და სამინისტროებში. კურსდამთავრებულების ნაწილი სწავლას აგრძელებს დოქტორანტურაში, ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა სტენფორდის, ჩიკაგოს, ნიუ-იორკის და პენსილვანიის უნივერსიტეტები.

დამატებითი ინფორმაციისათვის და დასარეგისტრირებლად გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.iset.ge

საკონტაქტო პირი: მაია სურგულაძე; admissions@iset.ge
ტელ: 250 71 77 ext.104

სიახლეები

* * *

3 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მეორე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

* * *

3 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ I კორპუსის ეზოში გაიმართა აქციაკონცერტი საყდრისის გადასარჩენად და რესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკის გასაპროტესტებლად.

* * *

3 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, საქართველოს განვითარების კომპლექსური კვლევის ცენტრის წარმომადგენლები და რექტორის თანაშემწე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ. ადგილობრივ სტუდენტებთან შეხვედრა ორმხრივი დიალოგის რეჟიმში წარიმართა. სტუდენტებმა მიმოიხილეს კახეთის რეგიონში არსებული ახალგაზრდული პოლიტიკა და ისაუბრეს საუნივერსიტეტო პრობლემებზე..

* * *

4 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის დამაარსებლის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამო გაიმართა. 2014 წელი გამოცხადებულია საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების და 26 საუკუნის თანაცხოვრების აღნიშვნის წლად. კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამოს ორგანიზატორი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტია.

* * *

4 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნების – მამუკა წურწუმია – „საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, ტ. I“ და „საისტორიო კრებული N3“ – წარდგინება.

* * *

5 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი გამოცემის, ბრიტანული „ეკონომისტის“ წლიური ჟურნალის „მსოფლიო 2014 წელს“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას, რომლის ორგანიზატორია „ჯორჯია თუდეი ჯგუფი“, თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, თსუ აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები დაესწრნენ. ჟურნალის ქართველ ავტორთა შორის ცნობილი ქართველი პოლიტიკოსები, ეკონომისტები, ექსპერტები, ბიზნეს ლიდერები და საზოგადო მოღვაწეები არიან. მასში საავტორო სტატიები გამოაქვეყნეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ, მინისტრებმა, ელჩებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და წამყვანი ბიზნეს კომპანიების ლიდერებმა. გლობალური მომავლის პროგნოზი ჟურნალის მთავარი გზავნილია.

* * *

6 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა კონფერენცია Tempus-ის მიმდინარე პროექტების შესახებ, რომელშიც ჩართულია თსუ. პროექტის კოორდინატორებმა წარმოადგინეს 20 წუთიანი პრეზენტაცია (გაწეული საქმიანობის ანგარიში და სამომავლო სტრატეგია).

* * *

5 თებერვალს თსუ სტუდენტური თვითმმართველობისა და თსუ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა.

* * *

10 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტის ”საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის” ფარგლებში მომზადებული ქართული დიალექტური კორპუსის წარდგენა და გაცნობა გაიმართა. დაიწყო შეხვედრების სერია, რომლის მიზანია, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის კორპუსის, როგორც ქართული ენობრივი მასალის მომცველი მასშტაბური ენათმეცნიერული და კულტურული პროდუქტის პოპულარიზაცია. შეხვედრის ფარგლებში ნაჩვენები იყო ექსპედიციების დროს ჩაწერილი უნიკალური ტექსტების, აუდიო და ვიდეო მასალის ჩვენება, კორპუსის შემადგენლობის, მისი მნიშვნელობის გაცნობა. შეხვედრების სერია, რომელიც 2014 წლის განმავლობაში პერმანენტულად გაიმართება მეცნიერების, კულტურის მოღვაწეების, სტუდენტების თუ დაინტერესებული საზოგადოებისათვის, გამიზნულია ამ უნიკალური პროდუქტისკენ სხვადასხვა მიმართულების მომხმარებლისთვის გზის გაკვალვისათვის.

* * *

11 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ზამთრის სკოლა „ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში“. პროექტი დაფინანსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროექტს ხელმძღვანელობს პროფესორი ნანა ტონია, მსმენელებს ლექციებს წაუკითხავენ გერმანელი და ქართველი მეცნიერები: ალექსანდრა ცაპელი (ბრემენი), ტასილო შმიტი (ბრემენი), ტიმო შტიკლერი (იენა), სილვია ჰუტერი (კიოლნი), მანანა ხიდაშელი, ირინე ტატიშვილი, ლევან გორდეზიანი.

მე – უნივერსიტეტი

პირველი გვერდიდან

გამოცემაში პროექტის მონაწილეების მოკლე მოგონებებიცაა უნივერსიტეტის შესახებ. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ ალმანახიდან:

ლევან ალექსიძე, თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი

– 62 წელი უნივერსიტეტში. ჩემი თავი უნივერსიტეტის გარეშე უკვე ვერ წარმომიდგენია. მაშინაც, როცა საზღვარგარეთ ვმუშაობდი, სულ ამ უნივერსიტეტზე ვფიქრობდი, ვერ გავუძელი და დავბრუნდი. როცა სწავლა იწყება და აუდიტორიაში შევდივარ, ყოველთვის ვლელავ, იმიტომ რომ ახალ აუდიტორიას უნდა შეხვდე. შედიხარ და გრძნობ რა იმპულსი მოდის აუდიტორიიდან, ყოველთვის ცდილობ ამ იმპულსს უპასუხო. არა გაყვითლებული ფურცლებითა და კონსპექტებით, არამედ ემოციით, უყურებ და ხედავ, რას ელიან შენგან.

მარინა ჩიგაშვილი, თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი

– ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი თავისი მნიშვნელობით გვაქვს მხოლოდ ერთი, მხოლოდ ეს. არც მიფიქრია, სადმე სხვაგან ჩაბარება, უნივერსიტეტი და მე 23 წელიწადია ერთად ვართ. ეს არის ადგილი, სადაც მუდმივად ხედავ ახალგაზრდებს, მათ ინტერესს და რომელთა სწავლებაც გინდა.

რისმაგ გორდეზიანი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

– ჩემთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასოცირდება ქვეყნის ძლიერებასთან და ღირსებასთან. მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება უნივერსიტეტში შევიძინე. საზღვარგარეთ მოღვაწეობის საშუალებაც მქონდა, თუმცა არასოდეს მიგრძვნია, რომ უნივერსიტეტმა რაღაც დამაკლო, ამიტომ არასოდეს არსად წავსულვარ აქედან.

გია დვალი, მეცნიერი თეორიული ფიზიკის დარგში, დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტის მონაწილე

– უნივერსიტეტი არის ჩემი „ალმა მატერი“ და ის გამორჩეული ადგილია. იმ ცოდნას, რომელსაც ახლა ვფლობ, საფუძველი სწორედ აქ ჩაეყარა. ახლა ვცდილობ ახალგაზრდებს გადავცე მიღებული გამოცდილება. სამყაროს აღქმისთვის სხვადასხვა კუთხიდან დაკვირვებაა საჭირო, აზროვნებისა და ხედვის სწორედ ეს ფართო სპექტრია მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, დღეს თბილისის სახელმწიფო უნვერსიტეტის ყველა სტუდენტს ეძლევა ამის საშუალება.

ჯემალ ხუბუა, თსუ პროფესორი, CERN-ში ქართული ჯგუფს ხელმძღვანელი

– ჩემი აზრით უნივერსიტეტელობა არის ერთი მხრივ ძალიან დიდი ტვირთი და ხოლო მეორე მხრივ – მოვალეობა იმისა, რომ ყველა უნივერსიტეტელი უნდა იყოს შესაბამის დონეზე, რათა არ დასწიოს ის დროშა, რომელიც წარმატებული უნივერსიტეტელობის აღმნიშვნელია.

ჯაფარიძე ოთარი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის აკადემიკოსი

– უნივერსიტეტში 60 წელი ვიმუშავე და მთელი ჩემი ცხოვრება მასთან არის დაკავშირებული. უნივერსიტეტმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. თითქმის ერთი საუკუნისაა და ამ წლების განმავლობაში არაერთი სიკეთე მოუტანია ერისთვის.

თამაზ გამყრელიძე, ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

– უნივერსიტეტი იყო არამარტო პირველი ქართულენოვანი უნივერსიტეტი კავკასიაში, არამედ პირველი არარუსულენოვანი უნივერსიტეტი მთელს რუსეთის იმპერიაში. ყველაზე ბედნიერი არის ის დღე, როდესაც პირველ ქართულ უნივერსიტეტს ეწოდა დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილისს სახელი.

ზაალ კოკაია, ლუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი

– დაუვიწყარი პერიოდი იყო, ცუდიც გადამხდენია და კარგიც, მაგრამ ეს იყო პროცესი, უფრო მეტის შეძენა, ვიდრე გაქვს, ახლის დაუფლება, ბევრი ფიქრი, კითხვა და კამათი. უნივერსიტეტში უნდა მიიღო საფუძველი, როელსაც შემდგომ დააშენებ სხვა დანარჩენს, ამისთვის აქ საუკეთესო გარემოა.

იაგო კაჭკაჭიშვილი, თსუ პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი

– მთელი ცხოვრება უნივერსიტეტში გავატარე, უნივერსიტეტში ვსწავლობდი და არასად არ მიმუშავია უნივერსიტეტის გარდა. უნივერსიტეტი ჩემი სახლია, ჩემი სამყარო, ადგილი, სადაც თავს ვგრძნობ მყარად და კომფორტულად.

დავით უსუფაშვილი. საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე

– უნივერსიტეტმა და იურიდიულმა ფაკულტეტმა მთელი ჩემი საზოგადო ცხოვრება განსაზღვრა. სკოლა 1985 წელს დავამთავრე და უმაღლესი განათლების მიღება უნივერსიტეტში გადავწყვიტე. იმ პერიოდში მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი და ერთი იურიდული ფაკულტეტი არსებობდა, რადგანაც იურისტობა მსურდა - არჩევანი ცხადი იყო.

ნოდარ ხადური, თსუ პროფესორი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი

– ვიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი განსაკუთრებული პატივია. ვასწავლი და მიწევს, რომ მუდამ ფორმაში ვიყო, ამასთან ახალგაზრდებთან ურთიერთობა ცხოვრებასა და საქმიანობაში მეხმარება, მათი აზრები, კითხვები და პოზიცია მაიძულებს საკითხს სხვადასხვა მხრიდან შევხედო. ბედნიერი ვარ, რომ ამის საშუალება მაქვს და უნივერსიტეტში ყოველთვის სიხარულით მოვდივარ.

დავით ნარმანია, თსუ პროფესორი, რეგიონული განვითარებისა და ინფრაქტრუსტურის მინისტრი

– უნივერსიტეტი ჩემთვის არამხოლოდ განათლების მიღების ინსტრუმენტია, სადაც მე ვისწავლე სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი, რომლითაც ყოველთვის ვამაყობ. უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი კარგი მეგობარი შემძინა, მომცა განათლება და ძალიან მიყვარს, ამასთან ის, რაც თავის დროზე შევიძინე და ვისწავლე, დღეს შემიძლია მომავალ თაობას გადავცე.

ირაკლი ალასანია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი

– ჩემი სტუდენტობის დროს უნივერსიტეტი იყო ყველაფერი, ცხოვრების აზრიც კი. ქვეყანაში, იყო რთული პერიოდი, სამოქალაქო ომი, გაუსაძლისი პირობები. უნივერსიტეტში ახალგაზრდები ვპოულობდით არამარტო ცოდნის მიღების საშუალებას, აქაურობა იძენდა ურთიერთობის, ერთმანეთის აზრებისა და იმედის გაზიარების ადგილის ფუნქციას.

ლევან ბერძენიშვილი, პარლამენტარი

– მე იმ თაობის ვარ, ვისთვისაც უნივერსიტეტი იყო ერთადერთი და ასეც რჩება. ჩვენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ვქმნით უხილავ ქსელს, ყოველთვის ვცნობთ ერთმანეთს და ყოველთვის გვაქვს მაღალი წარმოდგენა ერთმანეთზე. ეს მაღალი ხარისხის ნიშანია ჩვენთვის. როდესაც იტალიელები ამბობენ „ლაპოეტას“, გულისხმობენ დანტეს, ასევეა როცა ახსენებენ უნივერსიტეტს, მე ყოველთვის ვგულისხმობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ლაშა პაპაშვილი, ბანკ „რესპუბლიკას“ სამეთვალყურეოო საბჭოს თავმჯდომარე

– უნივერსიტეტთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. 90-იანი წლების დასაწყისში დავამთავრე, როდესაც ქვეყანაში მეტ-ნაკლები სიმშვიდე, ხოლო უნივერსიტეტის შიგნით სრულიად სხვა სამყარო იყო. შეაღებდი კარს და გავიწყდებოდა ის, რაც ირგვლივ ხდებოდა, უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილი ხდებოდი, სითბოთი, სიყვარულით და განსაკუთრებული აურით მოჯადოებული.

სოსო ფხაკაძე, კომპანია „ვისოლის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

– არ არსებობს უნივერსიტეტის რომელიმე კორპუსი ემოციის გარეშე გავიარო. უნივერსიტეტი იყო განათლების წყარო, საიდანაც ჩემი კარიერა დიწყო. ბუნებრივია, რომ ის წლები, რომელიც აქ გავატარე, ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლება.

გივი შაჰნაზარი, პოეტი

– ჩვენ, გასული საუკუნის არაერთმა სამოციანელმა, ორი უნივერსიტეტი დავამთავრეთ. პირველის რექტორი საყოველთაოდ ცნობილი ნიკო კეცხოველი გახლდათ, მეორესი კი, რომელიც „ბაღის უნივერსიტეტად“ იყო სახელდებული – ცნობილი პოეტი და ბოჰემისტი – შოთა ჩანტლაძე. უნივერსიტეტის სივრცე მუდამ სიყვარულითა და პოეზიით იყო გაჯერებული, ასეთი დარჩება ჩემთვის მარად.

გიორგი ბაქრაძე, თსუ პროფესორი, საქართველოს ყველა დროის ყველაზე გიტულოვანი მოაზროვნე

– უნივერსიტეტში გატარებული წლები განსაკუთრებული ეტაპია ალბათ ყველა სტუდენტისათვის, ის გარემო, რომელიც აქ გეხვდება, ის ახალი სამყარო, რომელსაც აღმოაჩენ და ის შესაძლებლობები, რომელიც შენ წინ იშლება. რომ არა უნივერსიტეტი, მე ალბათ არასოდეს ვითამაშებდი რა? სად? როდის?

გიორგი კეკელიძე, პოეტი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

– უნივერსიტეტში შევხვდი ძალიან ბევრ ადამიანს, რომლებმაც უამრავი რამ გამიზიარეს, შესაბამისად წიგნთან მისვლის გზებიც შეიცვალა და უფრო საინტერესო გახდა ჩემთვის. სტუდენტები, რომლებიც ვწერდით, როგორც წესი, ვიკრიბებოდით 93-ე აუდიტორიაში და ეს ერთგვარ საკრალურ ადგილად რჩება დღემდე ჩვენთვის.

დიანა ანფიმიადი, პოეტი

– რაკიღა ენათმეცნიერი ვარ, უფრო სწორად, მაქვს სურვილი, ვიყო, წარმოვიდგენ, რომ მაქვს ჩემი პირადი, მნიშვნელოვანი ცნებების ლექსიკონი. ჰოდა, იმ ლექსიკონში, სიტყვა უნივერსიტეტი იქნება განმარტებული ასე: უნივერსიტეტი – ადგილი, სადაც ერთმანეთს ყოველთვის ემთხვეოდა სურვილები და შესაძლებლობები, ადამიანები და წიგნები, მოსწავლეები და მასწავლებლები, სიყვარული და მეცნიერება – ეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩემთვის.

ავთანდილ აბაშიშვილი, თსუ სტუდენტი

– ყველაზე მთავარი, რაც გამოარჩევს უნივერსიტეტს, ეს არის ურთიერთობა ლექტორსა და სტუდენტს შორის, რომელიც უნივერსიტეტში მოსვლის დღიდან ყალიბდება. ვიძენთ უფროს მეგობრებს და იმ გამოცდილებას, რომელსაც კოლექტიური გონება 95 წელია აგროვებს. უნივერსიტეტი ეს არის გზა მომავალში და ყოველთვის მეამაყება ის პირველი დღე, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ოფიციალურად გავხდი და გზას გავუყევი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge